# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №03-16/149

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 31 ივლისი 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „ბლექსი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოგიტიძის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორის მხრივ შ.პ.ს „პოლიგრაფი 2010“, წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო გოგიჩაიშვილის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად საკუთარი სახსრებით წიგნების ბეჭდვის მომსახურების (CPV – 79810000 - ბეჭდვითი მომსახურებები) (შემდგომში მომსახურება) გაწევას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (იხ. დანართი N1).

### 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 140 (ას ორმოცი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე.

2.4 ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.5. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის დანმავლობაში.

### 3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე მაია თოიძე.

3.2. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### 4. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ#94 ბინა #50.

4.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 31 ივლისიდან 2019 წლის 3 აგვისტომდე.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება 4.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

## 6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების კონტროლს შესრულების ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს საქონლის/მომსახურების მიმღები პირი.

6.2. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – მომსახურების გაწევის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში , მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2 . პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით აცნობოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაიჭრება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრამდე.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი**

სსიპ კოლეჯი "ბლექსი"

ქალაქი ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N92ა

ს/ნ 245610398
ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
მფო: TRESGE22
ანგარიშის N709247286

დირექტორი

გიორგი გოგიტიძე

**მიმწოდებელი**

შ.პ.ს. "პოლიგრაფი 2010"

ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ.94 ბინა 50.

ს/ნ 445 388 768

სს „პროკრედიტ ბანკი"
მფო: MIBGGE 22
ანგარიშის N: GE07 PC03 4360 0100 0128 83

დირექტორი

სერგო გოგიჩაიშვილი

31.07.2019 წლის #03-16/149 ხელშეკრულების დანართი №1

| № | დასახელება | კლასიფიკაციის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წიგნის ბეჭდვა (ხმელიძე თ.ვერულაშვილი, მოდებაძე, მ.ფურცხვანიძე ,,ლაბორატორიული სამუშაოები ხისა და პლასტმასის კონსტრუქციებში- მოთოდური მითითებები, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011 (50 გვერდი) | 79810000 | ცალი | 5 | 2,40 | 12,00 |
| 2 | წიგნის ბეჭდვა (ხმელიძე თ. სოხაძე ა. ,,ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები" თბილისი, 2005, (380 გვერდი) | | ცალი | 5 | 16,00 | 80,00 |
| 3 | წიგნის ბეჭდვა (ხმელიძე თ. სოხაძე ა. გუგუციძე ა. ფირცხვანაძე ლ. გუგუციძე გ. ,, ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციების პრაქტიკუმი", ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2007, (97 გვერდი) | | ცალი | 5 | 4,00 | 20,00 |
| 4 | წიგნის ბეჭდვა (სალუქვაძე ა. გუგუციძე ა. ,,ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები", ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2004, (143 გვერდი) | | ცალი | 5 | 5,60 | 28,00 |
| | | | | | | 140,00 |

დირექტორი: /ბ.ბერიტაძე/ დირექტორი: /ს.გოგიჩაიშვილი/